

შპს კანი
2023 წლის ფინანსური ანგარიშგება


შპს კანის ფინანსური ანგარიშგება (ლარი) 2023 წლის 31 დეკემბერს მდგომარეობით

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	კომ.	31.12.23	31.12.22
მიმდინარე აქტივები			
ფული და ფულადი ექვივალენტები	3	371 837,75	41 636,63
მოკლევადიანი მოთხოვნები	4	83 532,78	66 990,58
მარაგები		8 283 688,76	4 845 012,48
წინასწარ გაწეული ხარჯები		3 696,76	-
		8 742 756,05	4 953 639,69
გრძელვადიანი აქტივები			
წმინდა ძირითადი საშუალებები	5	499 712,73	594 426,64
გაცემული სესხები		3 795 805,93	3 256 608,94
		4 295 518,66	3 851 035,58
		13 038 274,71	8 804 675,27
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები		86 658,65	58 695,54
გადასახადები		-	2 629,73
		86 658,65	61 325,27
გრძელვადიანი ვალდებულებები			
მიღებული სესხები		8 380 476,63	5 631 941,08
		8 380 476,63	5 631 941,08
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		3 334,97	58 503,90
აკუმულირებული მოგება/(ზარალი)		4 567 804,46	3 052 905,02
		4 571 139,43	3 111 408,92
		13 038 274,71	8 804 675,27

დირექტორი

ი. კუტალია




შპს კანის ფინანსური ანგარიშგება (ლარი) 2023 წლის 31 დეკემბერს მდგომარეობით

საქმიანობის შედეგები

	2023	2022
ამონაგები მომსახურებიდან	5 829 948,30	3 202 010,55
სხვა შემოსავლები	76 225,85	4 848,06
დასაქმებულთა ანაზღაურება	(1 532 341,74)	(847 146,19)
ცვეთა და ამორტიზაცია	(56 366,87)	(114 605,40)
იჯარის ხარჯი	(394 766,43)	(187 610,00)
საპროცენტო ხარჯები	(986 871,27)	(734 544,56)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(1 300 656,00)	(1 179 178,41)
საოპერაციო მოგება	1 635 171,84	143 774,05
წმინდა მოგება / (ზარალი) სავალუტო ოპერაციებიდან	832,23	(2 784,71)
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე	1 636 004,07	140 989,34
მოგების გადასახადი	-	-
წმინდა მოგება/(ზარალი)	1 636 004,07	140 989,34
საკუთრი კაპიტლი საანგარიშო პერიოდის დასაწყისში	3 111 408,34	3 800 884,00
საწესდებო კაპიტალი ცვლილება	-	-
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	-	-
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	(119 857,00)	(4 720,00)
კაპიტალის სხვა ცვლილებები	(56 417,00)	(825 745,00)
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	4 571 138,41	3 111 408,34

დირექტორი

ი. კუტალია



სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს კანი (შემდგომში კომპანია) რეგისტრირებულია 2012 წლის 31 იანვარს. კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, გიორგი სააკაძის დაღმართი, N11.

კომპანიის ბენეფიციარი მფლობელები არიან:

- ირაკლი კუტალია - 100%.

კომპანიის მენეჯმენტი შედგება:

- დირექტორი - ირაკლი კუტალია.

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა კანის დაავადებების დიაგნოსტიკა და მკურნალობა.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად და წარმოდგენილია საქართველოს ეროვნულ ფულად ერთეულში (ლარი).

ამონაგების აღიარება

ამონაგები მომსახურებიდან აღიარდება მაშინ როდესაც მყიდველს მომსახურება მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა.

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, რომელიც შემცირებულია ყველანაირი სავაჭრო და ვადაზე ადრე გადახდაზე დამოკიდებული ფასდათმობებითა და საქართველოს მთავრობის სახელით ამოღებული, რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში როდესაც გაწეულ იქნა.

მოგების გადასახადი

მიუხედავად იმისა, რომ მოგების გადასახადის გადახდის სამართლებრივი ვალდებულება წარმოიქმნება მხოლოდ დივიდენდის გადახდის შემდეგ, ვალდებულების აღიარება ხდება დივიდენდის გამოცხადების თარიღისთვის, თუ მაღალია ალბათობა, რომ გადაწყვეტილება დივიდენდის გამოცხადებაზე არ გაუქმდება.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით.

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას კომპანიისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც კომპანიის აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულებების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება საშუალო შეწონილი მეთოდით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებს პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული მოთხოვნები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

3. ფული და ფულადი ექვივალენტები

	2023	2022
ნაღდი ფული	57 215,80	2 197,87
ფული ბანკში	314 621,95	39 438,76
	<u>371 837,75</u>	<u>41 636,63</u>

4. მოკლევადიანი მოთხოვნები

	2023	2022
მოთხოვნები მომსახურებიდან	35 096,80	33 739,79
გადასახადები	497,92	3 500,79
გადადილი ავანსები	47 938,06	29 750,00
	<u>83 532,78</u>	<u>66 990,58</u>

5. ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

	31.12.22	წმინდა ცვლილება	31.12.23
ისტორიული ღირებულება			
ოფისის აღჭურვილობა	1 179 217,61	(282 195,17)	897 022,44
სატრანსპორტო საშუალებები	42 014,45	-	42 014,45
საიჯარო ქონების კეთილმოწყობა	40 578,36	(40 578,36)	-
	<u>1 261 810,42</u>	<u>(322 773,53)</u>	<u>939 036,89</u>
აკუმულირებული ცვეთა			
ოფისის აღჭურვილობა	(595 994,82)	195 884,15	(400 110,67)
სატრანსპორტო საშუალებები	(30 810,60)	(8 402,89)	(39 213,49)
საიჯარო ქონების კეთილმოწყობა	(40 578,36)	40 578,36	-
	<u>(667 383,78)</u>	<u>228 059,62</u>	<u>(439 324,16)</u>
საბალანსო ღირებულება			
ოფისის აღჭურვილობა	583 222,79	-86 311,02	496 911,77
სატრანსპორტო საშუალებები	11 203,85	(8 402,89)	2 800,96
საიჯარო ქონების კეთილმოწყობა	-	-	-
	<u>594 426,64</u>	<u>(94 713,91)</u>	<u>499 712,73</u>